



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 152/ს  
05/04/2023

152-21-4-202304051542



### შუახვევის მუნიციპალიტეტში შპს „სანალიას“ 4.2 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ჩირუხ-სანალიას“ ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „სანალიას“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია შუახვევის მუნიციპალიტეტში 4.2 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ჩირუხ-სანალიას“ ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

2021 წლის 9 ივლისს შუახვევის მუნიციპალიტეტში, შპს „სანალიას“ 4.2 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ჩირუხ-სანალიას“ ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციაზე გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება №2-1045), რომლის შესაბამისად, საქმიანობა არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, არსებული ჰიდროელექტროსადგური მდებარეობს შუახვევის მუნიციპალიტეტში, სოფ. მახალაკიძეებში. ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X-276566, Y-4602573. უახლოესი დასახლებული პუნქტი მდ. სანალიას სათავე ნაგებობიდან დაშორებულია 300 მეტრით (სოფ. მახალაკიძეები), ხოლო მდ. ჩირუხისწყლის სათავე ნაგებობიდან - 800 მეტრით (სოფ. კობალთა).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, „ჩირუხ-სანალიას“ ჰიდროელექტროსადგური ფუნქციონირებს ბუნებრივ ჩამონადენზე და მისი წყალმომარაგების წყაროებია მდ. სანალია და მდ. ჩირუხისწყალი. ორივე მდინარიდან აღებული წყალი, დამოუკიდებელი სადაწნეო მილსადენების მეშვეობით, მიეწოდება ჰესის სააგრეგატე შენობაში განთავსებულ ტურბინა-აგრეგატებს. „ჩირუხ-სანალიას“ ჰიდროელექტროსადგური პრაქტიკულად წარმოადგენს ერთი ჰესის შენობაში გაერთიანებულ ორ მცირე ჰესს, დამოუკიდებელი სათავე კვანძებითა და ენერგეტიკული სქემებით. „ჩირუხი ჰესის“ დადგმული სიმძლავრეა 2.37 მგვტ, ხოლო „სანალია ჰესის“ - 1.83 მგვტ.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, „ჩირუხ-სანალიას“ ჰიდროელექტროსადგურის შემადგენელი ძირითადი ინფრასტრუქტურული ობიექტებია: სათავე კვანძები (GPS კოორდინატები: მდ. ჩირუხისწყალზე - X-277632.46, Y-4601337.20; მდ. სანალიაზე X-

276324.22, Y- 4602087.77), წყალშემკრების აუზი (GPS კოორდინატები: მდ. ჩირუხისწყალზე X-277665.31, Y-4601341.63), კაშხალი (GPS კოორდინატები: მდ. ჩირუხისწყალზე X-277651.33, Y-4601346.07) სალექარები (GPS კოორდინატები: X-277644.72, Y-4601364.76), სადაწნეო მილსადენები (GPS კოორდინატები: მდ. ჩირუხისწყალზე X-277626.67, Y-4601384.34), ჰესის ადმინისტრაციის შენობა (GPS კოორდინატები: X-276566.00, Y-4602573.00), სააგრეგატო შენობა (GPS კოორდინატები: X-276551.13, Y4602582.37), დაცვის ჯიხური (GPS კოორდინატები: X-276587.45, Y-4602588.94), 2 ერთეული წყალგამშვები არხი (GPS კოორდინატები: X-276510.99, Y-4602557.76).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, „ჩირუხი ჰესის“ წყალმიმღები არის დაბალდაწნევიანი, წყალსაშვიანი კაშხალი გამრეცხი ფართით, რომელიც მოიცავს გამრეცხ რაბს, გვერდითი ტიპის წყალმიმღებს, სამსაფეხურიან სალექარს და სადაწნეო აუზს. ჩირუხისწყლის წყალმიმღების საანგარიშო ხარჯია 3.5 მ<sup>3</sup>/წმ. „სანალია ჰესის“ წყალმიმღები ასევე წარმოადგენს დაბალდაწნევიან წყალსაშვიან კაშხალს, ტიროლის ტიპის გამრეცხი ფართით, რომელიც მოიცავს გამრეცხ რაბს, ორსაფეხურიან სალექარს და სადაწნეო აუზს. სანალიას წყალმიმღების საანგარიშო ხარჯია 1.5 მ<sup>3</sup>/წმ. მდ. ჩირუხისწყლის საშუალო მრავალწლიური ხარჯი შეადგენს 3.20 მ<sup>3</sup>/წმ-ს. შესაბამისად, მდინარის სანიტარული ხარჯის სიდიდედ განსაზღვრულია საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10 %, რაც შეადგენს 0.32 მ<sup>3</sup>/წმ-ს. რაც შეეხება მდ. სანალიას, ამ შემთხვევაში საშუალო მრავალწლიური ხარჯი შეადგენს 0.90 მ<sup>3</sup>/წმ-ს, ხოლო მდინარის სანიტარული ხარჯის სიდიდე 0.09 მ<sup>3</sup>/წმ-ს.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ჰესის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების შესაგროვებლად მოწყობილია ჰერმეტიული საასენიზაციო ორმო, რომელიც პერიოდულად იწმინდება საასენიზაციო მანქანით და ჩამდინარე წყლების მდინარეში ჩაშვებას ადგილი არ აქვს. ექსპლუატაციის ეტაპზე მდინარის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე ზემოქმედების მინიმალური მიზნით, კომპანია ახორციელებს სათანადო ეკოლოგიური ხარჯის გატარებაზე კონტროლს. ბუნებრივი მყარი ნატანის სათანადო მართვის მიზნით, კომპანია საჭიროების შემთხვევაში, წყალუხვობის პერიოდში, უზრუნველყოფს კაშხლის ზედა ბიეფის პერიოდულ წმენდას.

აღსანიშნავია რომ, ჰესის განთავსების ტერიტორია ემთხვევა „ევროპის ველური ბუნების და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ“ (ბერნის) კონვენციის შესაბამისად შექმნილ „ზურმუხტის ქსელის“ დამტკიცებულ საიტს (გოდერძი - GE0000026), რომელიც მდებარეობს ხულოს და შუახევის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. ჰესის ექსპლუატაციით ცხოველთა ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემცირების მიზნით ხორციელდება ტერიტორიის ვიზუალური მონიტორინგი.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სათავე ნაგებობის ქვედა ბიეფიდან ზედა ბიეფისაკენ, თევზების მიგრაციის პირობების უზრუნველსაყოფად, კომპანიას დაგეგმილი აქვს ორივე მდინარეზე თევზსავალის მოწყობა.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, 2021 წლის 9 ივლისს გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილების (ბრძანება №2-1045) საფუძველზე, ორივე მდინარეზე, სათავე ნაგებობის კაშხლის მარჯვენა ნაწილში გათვალისწინებული იყო საინჟინრო ტიპის ე.წ. საფეხურებიანი თევზსავალის მოწყობა, რომელიც დაეყრდნობოდა არსებული კაშხლისა და ჩამქრობი ჭის ბეტონის კონსტრუქციას. წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, აღნიშნული თევზსავალების სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პროცესში გამოვლინდა, რომ არსებული ბეტონის კონსტრუქცია იყო საკმაოდ დასუსტებული, რაც ქმნიდა სათავე ნაგებობის დაზიანების საფრთხეს. აღნიშნულის გათვალისწინებით,

თევზსავალების მოწყობა დაიგეგმა არსებული კაშხლის ბეტონის კონსტრუქციის გარეთ. სკრინინგის განცხადების მიხედვით, აღნიშნულ თევზსავალებთან ასევე მოეწყობა თევზამრიდეებიც.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მდ. ჩირუხისწყალზე თევზსავალი მოეწყობა არსებული კაშხლის ბეტონის კონსტრუქციის გარეთ, მარჯვენა სანაპირო საყრდენი კედლის გასწვრივ (GPS კოორდინატები: X-277638.917, Y-4601329.789). თევზსავალის მოწყობა არ ითვალისწინებს არსებული ბეტონის დიდი ნაწილის მონგრევას. სათავე ნაგებობის სალექარის მუშა კამერაში საჭირო იქნება არსებული ბეტონის ზოლად ამონგრევა თევზამრიდის ეკრანის ჩარჩოს ჩასამაგრებლად და არსებულ საყრდენ კედელში მცირე ზომის თევზსავალში შესასვლელი და გამოსასვლელი ხვრეტების მოწყობა, რაც გაზრდის თევზსავალის ღარის სიგრძეს და შეამცირებს თევზსავალ ღარში წყლის დინების სიჩქარეს. აღნიშნული გააუმჯობესებს თევზსავალის ფარგლებში თევზის გადაადგილების პირობებს. თევზსავალის ფარგლებში მოეწყობა 10 საფეხური, შესაბამისად, მის მთელ სიგრძეზე იქნება 11 ცალი ვარდნა. თითოეული საფეხურის ფარგლებში ვარდნის სიდიდე წყალმცირობისას შეადგენს  $0.8:11 \approx 0.073$  მ-ს, ხოლო წყალდიდობისას  $1.4:11 \approx 0.13$  მ-ს. დოკუმენტის თანახმად, მდ. სანალიაზე თევზსავალი ასევე მოეწყობა არსებული კაშხლის ბეტონის კონსტრუქციის გარეთ, სანაპირო საყრდენი კედლის გასწვრივ, (GPS კოორდინატები: X-276299.165, Y-4602093.344). თევზსავალის ფარგლებში მოეწყობა 10 საფეხური, შესაბამისად, მის მთელ სიგრძეზე იქნება 11 ცალი ვარდნა. თითოეული საფეხურის ფარგლებში ვარდნის სიდიდე წყალმცირობისას შეადგენს  $1.4:11 \approx 0.127$  მ-ს, ხოლო წყალდიდობისას  $0.8:11 \approx 0.073$  მ-ს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, მდ. ჩირუხისწყალზე და მდ. სანალიაზე ასევე გათვალისწინებულია მექანიკური ტიპის თევზამრიდი კვანძის, კერძოდ, ბადიანი ეკრანის მოწყობა. მდ. ჩირუხზე არსებულ სათავე ნაგებობაზე გათვალისწინებული თევზამრიდი კვანძი განთავსდება სალექარის მუშა კამერის ბოლოში, სალექარიდან გამომავალი სადაწნეო მილების წინ. თევზამრიდი კვანძის მთავარი ელემენტია თევზამრიდი ეკრანი (ზომა: სიგრძე 69 სმ, სიმაღლე 290 სმ, ფართობი 20.01 მ<sup>2</sup>, რომელიც დაყოფილია 4 სექციად (თითოეულის ზომა: 172X292 სმ). ეკრანის სექციები ჩაეწყობა ფოლადის შვეულეებისაგან შეკრულ ჩარჩოში. თევზამრიდი ეკრანის წმენდისას, სადაწნეო მილსადენში თევზების მოხვედრის თავიდან ასაცილებლად, მოეწყობა ეკრანის ორი რიგი, რომლებიც განთავსდება ერთმანეთის პარალელურად. ერთი ეკრანის სექციის წმენდისას, სადაწნეო მილსადენისაკენ მიმავალი წყლის ნაკადი გადაკეტილი იქნება მეორე ეკრანის სექციებით. ეკრანებს შორის მოეწყობა სპეციალური სამომსახურეო ხიდი, რომლის მეშვეობით განხორციელდება ეკრანების გაწმენდის სამუშაოები. თევზამრიდი ეკრანების სექციების დიდი წონიდან გამომდინარე თითოეული ეკრანის თავზე მოეწყობა ტალი. თევზამრიდი ეკრანი აღჭურვილი იქნება სპეციალური ბადით (უჯრების ზომა 2X2 მმ-ია). ბადის უჯრების ზომის სიმცირის გათვალისწინებით, მასში ვერ გაეტევა 20 მმ-ზე მეტი სიგრძის თევზის ლიფსიტები. აღნიშნული ბადე დამაგრდება სპეციალურ ჩარჩოზე, რომელსაც 50 მმ ბიჯით გაუკეთდება ფურცლოვანი ფოლადის ვერტიკალური ღეროები მსხვილი ნატანის მოსაცილებლად (ანუ თევზამრიდი ეკრანი შეასრულებს უხეში გისოსის ფუნქციასაც). წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, მდ. სანალიაზე არსებულ სათავე ნაგებობაზე მოსაწყობი თევზამრიდი კვანძის ტიპი და კონსტრუქცია, ანალოგიურია მდ. ჩირუხის სათავე ნაგებობაზე მოსაწყობი კვანძისა, განსხვავდება მხოლოდ თევზამრიდი ეკრანის ცალკეული დეტალების რაოდენობით და ზომებით. კერძოდ, მდ. სანალიაზე გათვალისწინებული თევზამრიდი ეკრანი (ზომა: სიგრძე 580 სმ, სიმაღლე 292 სმ, ფართობი 16.94 მ<sup>2</sup>) ოთხის ნაცვლად დაყოფილი იქნება სამ სექციად (თითოეულის ზომა: 193X292 სმ).

ეკრანის წინ დაგროვილი თევზების ისევ მდინარეში დასაბრუნებლად გათვალისწინებულია სპეციალური თევზგამყვანი ღარის მოწყობა, რომლის კვეთის ზომა იქნება 40X30 სმ, ხოლო სიგრძე - 12.3 მ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ჰესის მოწყობის პროცესში ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ფარგლებში რაიმე მნიშვნელოვანი სახის საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარების კვალი არ დაფიქსირებულა. ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შესაბამისად და საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკი მინიმალურია. ჰესის ექსპლუატაცია საშიში გეოდინამიკური პროცესების გააქტიურებას არ გამოიწვევს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ჰესის ექსპლუატაციის პროცესი არ ხასიათდება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გავრცელებით. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების გავრცელება მოსალოდნელია მხოლოდ პერიოდული სარემონტო სამუშაოების/ტექნიკური მომსახურების პროცესში. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული პროცესების განხორციელების პერიოდი არის მოკლევადიანი. რაც შეეხება თევზსავალებისა და თევზამრიდი კვანძების მოწყობას, აღნიშნულ პროცესში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების ძირითადი წყარო იქნება სამშენებლო ტექნიკა. თევზსავალებისა და თევზამრიდი კვანძების მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობისა (2-3 თვე) და უახლოეს დასახლებულ პუნქტებთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება დროებითი და არ იქნება მნიშვნელოვანი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროებს წარმოადგენს ჰესის შენობაში დამონტაჟებული ჰიდროაგრეგატები. აღსანიშნავია რომ, ტურბინები განთავსებულია დახშულ კორპუსში (გარსაცმში), რომელიც ხასიათდება ხმაურის შთანთქმის მაღალი მაჩვენებლით. ხმაურის გავრცელებას ასევე ამცირებს ჰესის შენობა. ამასთან, ხმაურის შეფასების პროცესში გასათვალისწინებელია ბუნებრივი აკუსტიკური ბარიერის არსებობა, რომელსაც ქმნის არსებული რელიეფი და მცენარეები. აღნიშნული ფაქტორების და ხმაურის წარმომქმნელი წყაროების დასახლებულ პუნქტამდე დაცილების მანძილის გათვალისწინებით ჰესის ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელებით მოსახლეობის ხმაურით შეწუხებას ადგილი არ აქვს. რაც შეეხება თევზსავალებისა და თევზამრიდი კვანძების მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოებს, მათი ხანგრძლივობის და უახლოეს დასახლებულ პუნქტებთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება დროებითი და არ იქნება მნიშვნელოვანი.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ჰესის ოპერირების პერიოდში ნიადაგის/გრუნტის დაბინძურება შესაძლებელია შემდეგი მიზეზებით: ზეთების შენახვა-გამოყენების წესების დარღვევა; ტრანსფორმატორებიდან ან სხვა ზეთიან დანადგარებიდან ზეთის დაღვრა - ჟონვის, დაზიანების გამო, ზეთის ჩამატებისას ან გამოცვლის დროს; ჰესის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო და სხვა მყარი ნარჩენების არასწორი მართვა; ტურბინის ზეთის დაღვრა. სარემონტო-პროფილაქტიკური სამუშაოებისას, ნიადაგის დაბინძურება-დაზიანების რისკების პრევენციის მიზნით, გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალი მოცემულია სკრინინგის დოკუმენტაციაში. აღსანიშნავია, რომ საქმიანობის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განხორციელდება სამინისტროსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, კუმულაციური ზემოქმედების განხილვის პროცესში აღსანიშნავია, რომ ჩირუხ-სანალია ჰესის მიმდებარედ (≈100-120 მ) ფუნქციონირებს შუახევი ჰესი. აღნიშნული ჰესების ერთობლივი ფუნქციონირება, კუმულაციური ეფექტის მატარებელი შეიძლება იყოს ზედაპირული წყლის ობიექტების ბუნებრივ ჩამონადენსა და იქთიოფაუნაზე. კომპანია უზრუნველყოფს ეკოლოგიური/სანიტარული ხარჯის სისტემატურად გატარებას და დაგეგმილი თევზსავალის პროექტის შესაბამისად მოწყობას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაიგზავნა შუახევის მუნიციპალიტეტის მერიაში საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სამინისტროში არ ყოფილა წარმოდგენილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმიანობის სპეციფიკის, ჩასატარებელი სამუშაოების მასშტაბისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, არსებულ სათავე ნაგებობებზე თევზსავალის მოწყობა არ გამოიწვევს მნიშვნელოვან ზემოქმედებას გარემოზე.

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-3 პუნქტის 3.8 ქვეპუნქტის საფუძველზე,**

#### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ შუახევის მუნიციპალიტეტში, შპს „სანალიას“ 4.2 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ჩირუხ-სანალიას“ ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „სანალია“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „სანალიას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „სანალიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო